სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

03 სექტემბერი 2024

N 21/9374

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სააგენტომ განიხილა თქვენი 2024 წლის 29 აგვისტოს №22/7177 სკრინინგის განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციით №8735), რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 64 550 $м^2$ ფართობზე, 645 500 $м^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებას.

მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ 2024 წლის 26 აპრილს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იყო №22/2948 სკრინინგის განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციით №4414), რომელიც ეხებოდა მესტიის მუნიციპალიტეტში, ხაიშის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (64 550 $м^2$), 645 500 $м^3$ ტუფობრექჩიების, პორფირიტების და დიაბაზების ღია კარიერული წესით მოპოვებას, რაზეც 2024 წლის 28 მაისს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №271/ს) და დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გაცნობებთ, რომ თქვენი 2024 წლის 29 აგვისტოს №22/7177 სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია ემთხვევა 2024 წლის 28 მაისს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №271/ს) გათვალისწინებულ ტერიტორიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის საკითხზე.

დანართი: ელ. ვერსია.

მაია ბერაძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9374-21-2-202409031055

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE